პირველმა მოიპოვა...

ქართველმა მეცნიერმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა იენის უნივერსიტეტში

ლახან თბილისის სახელ-
ივერსიტეტის დოცენტ-
ცნიერმა **გურამ რამიშ-**
რმატებით დაიცვა სა-
დისერტაცია. იენის
იდრიხ შილერის სახე-
ივერსიტეტში. დისერ-
ემა იყო **„ენის შინა-**
რობლემა თანამედროვე
კაში“.

გერმანული პრესა
უკანასკნელი ათეული
ილზე გ. რამიშვილი
ელი საბჭოთა მეცნიე-
ლმაც მეცნიერებათა
უმაღლესი ხარისხი
რმანულ უნივერსიტე-

ავია, რომ ამჟამად გე-
ივერსიტეტებში მოქმე-
ენიერო ხარისხის მინი-
აფეხურიანი სისტემა:
აკადემიური ხარისხი
სახით მეცნიერების
დარგში; მეორე —
აკადემიური ხარისხი,
მეცნიერებათა კანდი-
ისხის ფარდია, და მე-
ნიერებათა დოქტორის
ხარისხი, რაც ჩვენს
ია დოქტორის ხარისხს
რამიშვილს სწორედ
ი სამეცნიერო ხარის-

ენის შინაფორმის იდეა, რომელიც წამოაყენა ვ. ფონ ჰუმბოლდტმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, თანამედროვე თეორიული ლინგვისტიკის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ სადისკუსიო პრობლემად იქცა. გერმანელი კოლეგებისათვის გ. რამიშვილი ცნობილი იყო თავისი გამოკვლევებით ვ. ჰუმბოლდტის ენის თეორიული მემკვიდრეობისა და საკუთრივ ენის შინაფორმის შესახებ. 1967 წელს პროფესორმა **გ. პეჩმა** გერმანულად თარგმნა მისი ნაშრომი „ენის ფორმის ცნება ვ. ჰუმბოლდტთან“ ენის შინაფორმის პრობლემას მიეძღვნა მისი მოხსენება ენათმეცნიერთა მე-10 საერთაშორისო კონგრესზე ბუქარესტში.

იენის უნივერსიტეტის მიწვევით დოცენტი გ. რამიშვილი ორ წელიწადს იმყოფებოდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც 1968-1970 წლებში კითხულობდა ლექციებს ვ. ჰუმბოლდტის საენათმეცნიერო მოძღვრებისა და ენის თანამედროვე თეორიის სპეციალურ პრობლემებზე, ამავე დროს ატარებდა სასაუბრო სემინარებს ქართულ ენაში იენელი ქართველოლოგებისათვის. იგი მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში.

სალექციო კურსის დამთავრების შემდეგ კი იენის 400 წლოვანი სახელოვანი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტში შედგა ქართველი მეცნიერის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვა, რომელსაც ესწრებოდა ექსპერტთა სარეკორდო რაოდენობა.

რეცენზიები წარმოადგინეს იენის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა **ჰ. შპიცბარდტმა**, ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა ფსიქოლოგმა **მ. ფორვერგმა** და ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა **კ. ჰუბერმა**. დისერტაციის დაცვა აღინიშნა მაღალი მეცნიერული დონით. ოფიციალურმა ოპონენტებმა ერთხმად აღიარეს გ. რამიშვილის სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიზუსტე და თეორიული სიღრმე. **„ნაშრომი აყენებს მნიშვნელოვან თეორიულ პრობლემებს ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების სფეროში“**, — წერს რეცენზიაში პროფესორი ჰუბერი. მეორე რეცენზენტის პროფესორ ფორვერგის აზრით, **„ამ ნაშრომში ავტორი ავითარებს ენათა შედარების სრულიად ახალ კონცეფციას, რომელსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს“**. პროფესორი შპიცბარდტი ისე აფასებს რამიშვილის კვლევის შედეგებს: **„მან შეძლო შეემუშავებინა ენათა სემანტიკური შეპირისპირების ახლებური მეთოდი... ამ ახალი მეთოდის დაფუძნება ჩაითვლება ავტორის ბრწყინვალე მონაპოვრად“.**

დისერტაციის ირგვლივ საინტერესო პაექრობა გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს ლინგვისტებმა, ფსიქოლოგებმა, მათემატიკოსებმა. საინტერესო მოსაზრებები იყო წამოყენებული მათემატიკის ინსტიტუტის კიბერნეტიკის განყოფილების გამგის დოქტორ ვექსუნგის რეცენზიაში. ოპონენტებმა საჭიროდ ცნეს გ. რამიშვილის სადოქტორო შრომის გერმანულ ენაზე მონოგრაფიულად გამოცემა.

ქართველი მეცნიერის დისერტაციამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა გერმანულ პრესაში. გაზეთებში **„ფოლქსვახტსა“** და **„ლანდესცაიტუნგში“** გამოქვეყნდა სტატიები გ. რამიშვილის მოღვაწეობაზე. აი კერძოდ რას წერდა გაზეთი „ფოლქსვახტი“. ...**„ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ენათმეცნიერ დოქტორ გურამ რამიშვილს — თბილისის სახელმწიფო ქართული უნივერსიტეტიდან — მიანიჭა მეცნიერებათა დოქტორის უმაღლესი აკადემიური ხარისხი, ეს იყო მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი მოვლენა. ამით არა მარტო პირველმა საბჭოთა მოქალაქემ მოიპოვა იენში ეს მეცნიერული საკვალიფიკაციო ხარისხი. დოქტორი რამიშვილი არის საზოგადოდ პირველი მეცნიერი საბჭოთა კავშირიდან, რომელსაც 1945 წლის შემდეგ ეს უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა გერმანულ უნივერსიტეტში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სამეცნიერო ხარისხის მინიჭებამ შექმნა ეტაპი თბილისისა და იენის უნივერსიტეტების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის“.**



გ. რამიშვილის მიერ სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დაცვასთან დაკავშირებით იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა **ფრანც ბოლკმა** წერილი გამოუგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ი. ვეკუას. აი რას წერდა იგი: „... **ჩემთვის მეტად სასიამოვნოა გაცნობოთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ბატონმა გურამ რამიშვილმა წარმატებით დაასრულა თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტში... განსაკუთრებით სიხარულს მგვრის ის ფაქტი, რომ პირველი უცხოელი მეცნიერი, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სენატმა ეს მაღალი აკადემიური ხარისხი მიანიჭა, იმ უნივერსიტეტის წარმომადგენელია, რომელთანაც ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს დამსახურებისათვის როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ მოღვაწეობაში გ. რამიშვილი დაჯილდოებულ იქნა ფრ. შილერის სახელობის საპატიო მედლით“.**

ამჟამად გ. რამიშვილი კვლა



Dr. Guram Ramischwili

თბილისში მშობლიურ უნივერსიტეტში განაგრძობს სამეცნიერო მოღვაწეობას.

ლ. ხუბულური.

• • •

SOVLAB
საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია